გამოუყენებელი შესაძლებლობანი

მოსკოვი. 22 მაისი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

დღეს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე გაიმართა საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ–ერთი ცენტრალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” თანაკლუბელთა გუნდები. მატჩს სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. ბალაკინი (კიევი).

თამაში დაიწყო ყოველგვარი დაზვერვისა და “მოსამზადებელი ეტაპის” გარეშე. მიღებული ტრავმის გამო უკვე პირველივე წუთებზე კარი დატოვა მარღანიამ, რომელიც შეცვალა პირაევმა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები ქარის წინააღმდეგ თამაშობდნენ, მათ თავიდანვე უკიდურესად მაღალი ტემპი აიღეს. მთელი გუნდი მოქმედებდა დიდი მონდომებით, ენერგიულად და შემტევ სტილში. შესანიშნავად თამაშობდა ღოღობერიძე. იგი თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში და ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს მოსკოველთა კართან. ძლიერად ითამაშეს გარემარბებმა კოტრიკაძემ და განსაკუთრებით ხასაიამ. მოსკოვის “დინამოს” დაცვას დიდი ხნის განმავლობაში მეტად მძიმე დატვირთვით უხდებოდა თამაში. ძალების სრული დაძაბვით თამაშობდნენ კრიჟევსკი, როდიონოვი, კუზნეცოვი, რამდენიმე უაღრესად ძნელი ბურთი აიღო მეკარე იაშინმა. ზედიზედ ვერ გამოიყენეს კარგი შესაძლებლობანი ხასაიამ, კოტრიკაძემ ღოღობერიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ თამაში ძირითადად მოსკოველების კართან მიმდინარეობდა, მათ თავდამსხმელებმა მაინც შეძლეს რამდენიმე მწვავე შეტევის განხორციელება. ძიაპშპამ საფუძვლიანად ჩაკეტა მოწინააღმდეგის ცენტრალური თავდამსხმელი მამედოვი, ზუსტად თამაშობდნენ ელოშვილი, სარჯველაძე, ხოჭოლავა, ხოლო პირაევმა შაბროვისა და რიჟკინისგან აიღო ძლიერად დარტყმული ბურთები. ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისში ინიციატივა კვლავ თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ თავდასხმაში საერთო ანსამბლს გამოეთიშა იამანიძე, რის გამოც ჩაიშალა რამდენიმე კარგი კომბინაცია. ტაიმის შუაში უპირატესობა ხელთ აიღეს მოსკოველებმა. ორი კარგი შესაძლებლობა დაკარგა რიჟკინმა. ერთ–ერთ მომენტში თბილისელთა კართან ფედოსოვმა მიიღო გადაცემა ბაიკოვისაგან და უძლიერესი დარტყმით ბურთი კარში გაგზავნა – 1:0.

შემდგომში ინიციატივა კვლავ სტუმართა მხარეს გადავიდა, თბილისელთა თავდამსხმელები არ ცილდებოდნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ ვერ შეძლეს შესაძლებლობათა გამოყენება. მატჩი მოიგო მოსკოვის “დინამომ” მინიმალური ანგარიშით 1:0.

მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე დუბლიორთა შეხვედრაც – 1:0.

ვ. სოკოლოვი.

“ლელო”, 25 მაისი, 1955 წ.